სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნ ი ნ ო მ ე ტ ო ნ ი ძ ე

მიმდინარე პანდემიის პირობებში ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი საქართველოსა და მის პარტნიორ ქვეყნებში

ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე
ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი დავით ბიძინაშვილი

გორი 2021

ანოტაცია

ნინო მეტონიძე

„ეკონომიკა არის მეცნიერება ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების შესახებ“ _ალფრედ მარშალი.

„ეკონომიკა“_ ეს არის ბერძნული სიტყვა და ნიშნავს „ადამიანს , რომელიც საოჯახო მეურნეობას უძღვება“.

ეკონომიკა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ნებსით თუ უნებლიედ, ყოველდღიურობაში გვიწევს ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა. მაგალითისთვის: როგორ ვიშოვოთ ფული, სად და როგორ დავხარჯოთ, გავცვალოთ თუ არა სხვა ვალუტაში, როგორ დავაგროვოთ და სად? და ა.შ ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ეკონომიკა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია ნებისმიერ ასაკში.

ეკონომიკა იყოფა ორ ნაწილად- მაკროეკონომიკად და მიკროეკონომიკად.

მიკროეკონომიკა სწავლობს ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობას. მაგალითად: დაქირავებული მუშების, ფირმების, ვაჭრების და სხვა.

მაკროეკონომიკა სწავლობს და განიხილავს ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებას.

რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ძირითადად დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გატარებულ რეფორმებზე, იმ წახალისებებზე და მოტივაციებზე , რომელითაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის სწრაფ ზრდასა და განვითარებას. მისცემს საშუალებას ადამიანებს გამოიყენონ ის ყველა რესურსი, რისი შესაძლებლობაც ქვეყანას აქვს. თვალყური ადევნოს თუ რაზეა მეტ-ნაკლებად მოთხოვნა, ეს იქნება მომსახურება თუ პროდუქცია, და ამის მიხედვით დაარეგულიროს ბაზარი.

აღნიშნულ სამაგისტრო ნაშრომში, ვისაუბრებ თუ რამდენად შეძლო სახელმწიფომ, ახალი კორონავირუსის პირობებში, ეკონომიკურად ეზრუნა როგორც ბიზნესზე ასევე საკუთარ მოსახლეობაზე. რამდენად სწორი რეფორმები გაატარა და სწორად გადაანაწილა სახელმწიფო ბიუჯეტი.

Annotation

Nino Metonidze

"Economics is the science of everyday life" - Alfred Marshall.

"Economy" - is a Greek word and means "a person who runs a household".

Economy is an integral part of our lives. Willingly or unwillingly, we have to solve economic problems on a daily basis. For example: how to earn money, where and how to spend it, whether to exchange it for another currency, how to save and where? Etc. Because of all this, economics is an integral part of our lives at any age.

The economy is divided into two parts - macroeconomics and microeconomics.

Microeconomics studies the activities of individual economic entities. For example: hired workers, firms, traders and more.

Macroeconomics studies and reviews the functioning of a country's economy.

As for the development of the country's economy, it mainly depends on the reforms carried out by the state, the incentives and motivations that will contribute to the rapid growth and development of the economy. Will enable people to use all the resources that the country has the opportunity. Track what is more or less in demand, be it services or products, and regulate the market accordingly.

In this master's thesis, I will talk about how the state was able, in the conditions of the new coronavirus, to take care of both the business and its own population economically. How many reforms were carried out and the state budget was properly distributed.

სარჩევი

Table of Contents

შესავალი..... 5

თავი 1. ახალ კორონავირუსამდე არსებული პანდემიები..... 8

1.1.შავი ჭირი (შავი სიკვდილი).....**8**

1.2. ღორის გრიპი _ H1N1.....**10**

1.3. ესპანური გრიპი.....**11**

თავი 2. COVID-19 და მისი გავლენა საქართველოსა და მის პარტნიორ ქვეყნებზე..... 12

2.1. პანდემიის გავლენა ამერიკაზე.....**12**

2.2. კორონავირუსი და მისი გავლენა ჩინეთის ეკონომიკაზე.....**19**

2.3. თურქეთის ეკონომიკა პანდემიის პირობებში.....**25**

2.4 COVID-19_ის გავლენა საქართველოზე.....**29**

2.5. COVID-19_ის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე.....**33**

ტურიზმი 35

ფულადი გზავნილები.....38

საგარეო ვაჭრობა (იმპორტი , ექსპორტი).....39

თავი 3. მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა 40

3.1. განათლების სფეროს ანტიკრიზისული გეგმა.....**45**

3.2. დეველოპერული სექტორის ანტიკრიზისული გეგმა.....**47**

დასკვნები და რეკომენდაციები..... 50

ბიბლიოგრაფია 52

მიმდინარე პანდემიის პირობებში ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი საქართველოსა და მის პარტნიორ ქვეყნებში

შესავალი

2019 წლის დეკემბერში ჩინეთის ერთ-ერთ ქალაქ უჰანში დაფიქსირდა უცნობი ვირუსით ადამიანის დაინფიცირების პირველი დადასტურებული შემთხვევა. პირველი შემთხვევიდან დაახლოებით ერთ თვეში 9 იანვარს დაფიქსირდა პირველი გარდაცვალება, რის შემდეგაც ადამიანის ინფიცირების შემთხვევებმა ფაქტობრივად გეომეტრიული პროგრესიით ზრდა დაიწყო. გამომდინარე რამდენიმე კონტინენტზე ვირუსით ინფიცირების კატასტროფულად მზარდი შემთხვევებისა 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ გამოაცხადა პანდემია(ეპიდემია, რომელიც ხასიათდება ინფექციური დაავადების გავრცელებით მსოფლიოში ან ვრცელ რეგიონში. ასევე ხასიათდება ინფიცირებული ადამიანების არასტაბილური მაჩვენებლით).

ბუნებრივია ვირუსის გავრცელების უკონტროლო ზრდამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამოიწვია საკმაოდ მძლავრი შეზღუდვების შემოღება, რამაც გამოიწვია მძლავრი ეკონომიკური პრობლემები.

კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კოლაპსი შეეხო მთელ მსოფლიოს. ვირუსმა შეიწირაუამრავი ადამიანის სიცოცხლე რამაც გამოიწვია ეკონომიკის დარგების გაჩერება. შედეგად შეჩერდა წარმოება და ეკონომიკური ურთიერთობები ქვეყებს შორის. შეზღუდვები შეეხო ასევე გადაზიდვებს, რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა ქვეყნის მარაგებს. გამომდინარე აქედან გაიზარდა მოთხოვნა ადგილობრივ პროდუქტებზე. სამწუხაროდ ქვეყნებს არ აღმოაჩნდათ საკმარისი მარაგი რატა პირველადი პროდუქტებით უზრუნველეყოთ თავისი მოსახლეობა. ყოველივე ამან გამოიწვია ფასების გაზრდა და ვალუტის გაუფასურება. ვალუტის გაუფასურების შედეგად პროდუქტის შემენა კიდევ უფრო რთული გახდა რაც კატასტროფულად აისახა მოსახლეობის ეკონომიურ მდგომარეობაზე.

პანდემიის გამო უამრავი კომპანია იძულებული გახდა შეეჩერებინა მუშაობა, უმეტესი მათგანი გაკოტრდა დანარჩენი კი ცდილობს ონლაინ საქმიანობით ირჩინოს თავი. მოთხოვნის კლების გამო უდიდესმა კომპანიებმა მიიღეს გადაწყვეტილება კადრების შემცირებასთან დაკავშირებით. პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგები განსაკუთრებით უარყოფთად აისახა ახალ და შესაბამისად შედარებით არამდგრად ბიზნესებზე. საგრძნობლად შემცირდა ინვესტიციების რაოდენობა, შესაბამისად იკლო ახალმა ვაკანსიებმა და დაიკარგა უამრავი სამუშაო ადგილი.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პანდემიამ შეცვალა მსოფლიო დღის წესრიგი, რისთვისაც სამწუხაროდ მოსახლეობა მზად არ აღმოჩნა.

პანდემიამ ეკონომიკური კოლაფსი გამოიწვია ფაქტობრივად მთელ მსოფლიოში. შეექმნათ უდიდესი პრობლემები ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, რუსეთი, თურქეთი და ა.შ.

გამომდინარე იქიდან, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებზე ფაქტობრივად გადაჯაჭვულია ჩვენი ეკონომიკა, არც საქართველო აღმოჩნდა გამონაკლისი. შესაბამისად ქვეყანაში დაიწყო მძლავრი ეკონომიკური კრიზისი, რასაც საგარეო ვალის გაზრდა, ვალუტის გაუფასურება და შესაბამისად მოსახლეობის გაღარიბება გამოიწვია.

აღნიშნულიდან გამომდინარე გადავწყვიტე ზემოთხსენებული ქვეყნების მაგალითი შემესწავლა კონკრეტულად, მომეძიებინა კონკრეტული მასალები აქამდე არსებული

პანდემიებისა და covid-19 ის შესახებ, ჩამეტარებინა ანალიზი თუ როგორ გაუმკლავდა თითოეული მათგანი უახლესი მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას. ასევე მიზნად დავისახე ნათლად წარმომეჩინა ამ ქვეყნების ეკონომიკური პრობლემები, მათი გავლენა საქართველოსა და მსოფლიოზე.

მიზნად დავისახე ჩატარებული მსჯელობიდან გამომდინარე შემემუშავებინა პანდემიასთან დაკავშირებული კონკრეტული ხედვა, თუ როგორ უნდა იყოს მიმართული ფინანსები, რათა ქვეყნებმა მინიმუმამდე დაიყვანონ ეკონომიკაზე პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგები.

როდესაც ვსაუბრობთ ეკონომიკაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობა არის უპირველესი. შესაბამისად ჩვენს მიზანს უნდა წარმოადგენდეს დავაწესოთ ადეკვატური შეზღუდვები, რაც საშუალებას მოგვცემს არ ჩამოვშალოთ ეკონომიკა და უფრო მეტი ზიანი არ მივიღოთ, ვიდრე სარგებელი. შესაბამისად ქვეყანა ვალდებულია შეიმუშაოს მოსახლეობაზე მორგებული ალგორითმი, რითიც უზრუნველყოფს მათთვის მინიმალური ზიანის მიყენებას.

კორონავირუსამდე იყო სხვადასხვა ეპიდემიები (შავი ჭირი, ღორის გრიპი, ესპანური გრიპი), რომლებმაც გამოიწვია ხალხის დიდი ნაწილის გარდაცვალება. შესაბამისად მოსახლეობას უნდა დაეგროვებინა საკმაო გამოცდილება რათა ახალი ვირუსის გავრცელების შემთხვევაში მისი ზრდა მინიმალური ყოფილიყო. შევეცდები კვლევის შემდეგ ნაწილში მოკლედ მიმოვიხილო თითოეული მათგანი და დავასკვნა იყო თუ არა პანდემიები მწარე გაკვეთილი კაცობრიობისათვის.

თავი 1. ახალ კორონავირუსამდე არსებული პანდემიები

პანდემიას ეპიდემიისგან განასხვავებენ იმით, რომ ეპიდემიის დროს დაავადების გავრცელება უკონტროლო ხდება, მაგრამ ეს აფეთქება მიმდინარეობს ლოკალურად ამა თუ იმ ტერიტორიაზე.

1.1.შავი ჭირი (შავი სიკვდილი)

შავი ჭირი , ეს არის ბაქტერიული ინფექცია, რომელიც გადადის რწყილებით. მას ასევე მოიხსენიებენ როგორც შავ სიკვდილს. პანდემია მეთოთხმეტე საუკუნეში გავრცელებული იყო აზიასა და ევროპაში.

მისთვის დამახასიათებელი სიმპტომები გახლდათ : თავის ტკივილი, ციებ-ცხელება, ოფლიანობა, კანკალი და მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რომლითაც გამოირჩეოდნენ შავი ჭირით დაავადებულები , გახლდათ ჩირქოვანი წყლულები.

შავი ჭირის გავრცელების ძირითად მიზეზებად მეცნიერები მოიაზრებენ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორს, რადგან იმ პერიოდისთვის მიმდინარეობდა ომები, როგორც საფრანგეთში და იტალიაში, ასევე ესპანეთში.

გარდა ამისა, ასევე საშინელი გახლდათ ქალაქების სანიტარული მდგომარეობა. ქუჩები სავსე იყო ნაგვით. აღნიშნული ნაგავი და სიბინძურე კი საბოლოო ჯამში სასმელ წყალში ხვდებოდა.

ამ დაავადებამ საერთო ჯამში ასეულობით მილიონი ადამიანი იმსხვერპლა, რაც მიუთითებს შუა საუკუნეების მედიცინის უძლურობასა და არასწორ მიდგომებზე.

როგორც ისტორიიდან ირკვევა , შავი ჭირის პანდემიის დროს, სახელმწიფოს არ დაუწესებია არანაირი შეზღუდვა,არ გაუციათ არანაირი რეკომენდაციები და არ ჩაუტარებიათ დაავადების თავიდან აცილების პროფილაქტიკური ღონისძიებები.

მოცემულ ფოტოზე ნათლად ჩანს თუ როგორ გავრცელდა დაავადება. დაუზუსტებელი მონაცემებით ეპიდემიამ იმსხვერპლა 3 მილიონამდე ადამიანი. გამოიწვია ზღვა ეკონომიკური პრობლემებისა. მიუხედავად იმისა, რომ მძლავრი შეზღუდვების არ დაწესებამ, ყიდვა-გაყიდვისა და წარმოების შემცირებამ მოსახლეობის შიმშილობა გამოიწვია.

1.2. ღორის გრიპი _ H1N1



უახლესი ისტორიიდან ერთ-ერთი მომაკვდინებელი ეპიდემია იყო ღორის გრიპი „H1N1". პირველად აღნიშნული ვირუსი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფიქსირდა. როდესაც აღნიშნული ვირუსი პანდემიად გამოცხადდა, რამოდენიმე ქვეყანამ დაიწყო არამიზნობრივი შეზღუდვების შემოღება, ასევე ბიუჯეტის არასათანადოდ განკარგვა რამაც მსოფლიო კრიზისი და ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია.

ვირუსის გავრცელებიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ მეცნიერებმა საბედნიეროდ მიაგნეს რამდენიმე მედიკამენტს, რომლებმაც ფაქტობრივად მალევე დაასრულა ეპიდემია და მოსახლეობა ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა.

ღორის გრიპის პანდემიამ, რა თქმა უნდა უარყოფითად იმოქმედა მსოფლიო ეკონომიკაზეც. როგორც THE ECONOMIST_მა განაცხადა, 2009 წელს აღნიშნული გრიპი ქვეყნებს მშპ-ის 0.5-1.5 % დაუჯდათ.

მხოლოდ აშშ_ში ღორის გრიპით 60 მილიონამდე ადამიანი დაინფიცირდა. მსოფლიოს მასშტაბით კი, აღნიშნულმა ვირუსმა, 575 400 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

1.3. ესპანური გრიპი

დაახლოებით 100 წლის წინ 1918 წელს ევროპაში პანდემია დაიწყო. გრიპის ვირუსი თავდაპირველად ესპანეთში გაჩნდა, შემდეგ კი მთელს ევროპას მოედო. ამ ფაქტს ამწვავებდა იმ პერიოდში პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობა, რაც ბუნებრივია დაავადების გავცელების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად იქცა.

გრიპის პირველი ოფიციალური დადასტურებული შემთხვევა 1918 წლის 4 მარტს დაფიქსირდა. დაავადებისათვის დამახასიათებელი სიმპტომები იყო ხველა, ცხელება, თავის ტკივილი. ვირუსით დაინფიცირდა ჯარისკაცების დიდი ნაწილი. ვირუსი ბუნებრივია ევროპის საზღვრებს გარეთად, ინდოეთსა და ჩინეთში გავრცელდა.

თავდაპირველად სიმპტომები მძიმედ არ მიმდინარეობდა თუმცა მეორე ტალღის დროს ვირუსმა მუტაცია განიცადა და ბევრად მომაკვდინებელი გახდა. ბუნებრივია, რომ მისი ძირითადი გადამტანები ჯარისკაცები იყვნენ. ვირუსი ბუნებრივია მოხუცებულებში ბევრად რთულად მიმდინარეობდა.

ევროპაში, ისევე როგორც მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში, დაიწყო კარანტინის შემოღება, უფასოდ რიგდებოდა საპნები და წყალი. ვირუსის გავრცელებამ ომთან ერთად ეკონომიკაზე დამანგრეველი გავლენა იქონია და მოსახლეობას ათწლეულები დასჭირდა რათა ძველ ნიშნულს დაბრუნებოდა. მსგავსი პანდემიები უნდა ყოფილიყო მკაცრი გაკვეთილი მოსახლეობისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ თითქმის ყოველ ასწლეულში აქვს კაცობრიობას პანდემიის გამოცდილება ბუნებრივია ახალ ვირუსს ბევრად მარტივად უნდა გამკლავებოდა.

თავი 2. COVID-19 და მისი გავლენა საქართველოსა და მის პარტნიორ ქვეყნებზე

2.1. პანდემიის გავლენა ამერიკაზე

ამერიკის შეერთებულ შტატებში კოროავირუსის პირველი შემთხვევა გამოვლინდა 2020 წლის იანვარში. პრველი შემთხვევის დადასტურების შემდეგ სამწუხაროდ სიტუაცია დრამატულად წარიმართა და ახალმა შემთხვევებმა ფაქტობრივად გეომეტრიული პროგრესიით დაიწყო ზრდა. ვარაუდობენ, რომ კორონავირუსისთ პირველი გარდაცვალება ამერიკაში დაფიქსირდა 6 თებერვალს. 2020 წლის 15 სექტემბრისათვის უკვე ფიქსირდებოდა ვირუსის 6.5 მილიონი დადასტურებული შემთხვევა (მათგან 195000 გარდაცვალება). დაახლოებით მაინც რომ მოხდეს მოცემული ციფრების სწორად გააზრება, მაგალითად შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ მოცემური რიცხვები ვიეტნამში გარდაცვლილი ამერიკელების რაოდენობას სამჯერ აჭარბებს. ახლადშექმნილმა გარემოებებმა გამოიწვია ეკონომიკური პრობლემები რამაც გამოიწვია პროდუქტის შექმნის, მიწოდებისა და ფინანსური შოკი. შედეგად შეგვიძლია ვთვქთ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უმძლავრესი ქვეყანა ფაქტობრივად პარალიზებული გახდა და აღმოჩნდა ეკონომიკური კატასტროფის წინაშე. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩაატარა კვლევა, რომლის მიხედვითაც ნათლადაა წარმოჩენილი გარდაცვალებათა რაოდენიობების ზრდის დინამიკა.



მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით ნათლად ირკვევა, თუ როგორი კატასტროფული ზრდა მიმდინარეობდა აპრილის თვიდან მოყოლებული, რასაც მოსახლეობა ფაქტობრივად ვერაფრით უპირიპირდებოდა.

პანდემიამ კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა ის ეთნიკური პრობლემები და დაპირისპირებები რაც რასებთანაა დაკავშირებული. ასევე ჯერ კიდევ დაუდგენელი მიზეზების გამო სხვადასხვა რასის ადამიანებში გარდაცვალების მაჩვენებელი განსხვავებული იყო. რასებთან დაკავშირებული გარდაცვალების მაჩვენებლის გამოკვლევა ვერ მოხერხდა, თუმცა ნათლად გამოჩვნა ერთი რამ, ახალგაზრდა მოსახლეობას ვირუსი ბევრად მარტივად გადაჰქონდა ვიდრე მოხუცებს, შევეცდები წარმოგიდგინოთ სტატისტიკა, რომელიც ნათლად აღწერს მოსახლეობის გარდაცვაების დინამიკას რასებისა და ასაკის მიხედვით.





მოცემული მონაცემებიდან გამომდინარე ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული იყო შემოეღო საკმაოდ მძლავრი შეზღუდვები, რათა შეეჩერებინა ვირუსის სწრაფი გავრცელება და გადაერჩინა ტავისი მოსახლეობა.

შეზღუდვები იცავდა მოსახლეობას თუმცა ბუნებრივია ქოდა თავისი უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში მშპ-ს ერთერთი ყველაზე დიდი ვარდნა შეადგენდა 3პროცენტს მაშინ როდესაც 2020 წლის მეორე კვადრატში მისი ვარდნა 9.1 პროცენტი იყო. ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკამ განიცადა ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეესია ისტორიის მანძილზე შედეგად ქვეყანა დადგა საკმაოდ რთული არჩევანის წინაშე, დაეცვა მოსახლეობა, თუ გადაერჩინა ეკონომიკა, რისი დანგრევაც სამომავლოდ გამოიწვევბა ბევრად მეტ სავარაუდო ზიანს.

FIGURE D.

Percent Change in Employment Relative to Business Cycle Peak by Business Cycle



Source: Bureau of Labor Statistics (BLS; Current Population Survey [CPS]) 1980–2020; NBER n.d.; authors' calculations.
Note: The figure shows the monthly percent change in total nonfarm payroll from the peak of a business cycle until total nonfarm payroll returns to the level of the previous business cycle peak.

THE HAMILTON PROJECT BROOKINGS

მოცემულ მონაცემებზე მცირე დაკვირვებაც კი საკმარისია იმის გასააზრებლად თუ რამდენად დიდი ზიანი მიადგა ამერიკის ეკონომიკას ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად დაწესებული შეზღუდვების გამო.

ზემოთაღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე კიდევ უფრო სასტიკად ამოქმედდა ბუნებრივი გადარჩევის პრინციპი, ადამიანები ვისაც არ ქონდათ კარგი განათლება ფაქტობრივად დარჩნენ სამსახურების გარეშე. უდიდესი პრობლემა შეექმნათ განსაკურებით ქალებს ვინაიდან ყველა ის სფერო სადაც ძირითადად საქმდებიან (რესტორები, სალონები, მაღაზიები) რაღაც პერიოდის განმავლობაში ფაქტობრივად უფუნქციოდ იყო დარჩენილი.

შეზღუდვებიდან გამომდინარე ალბათ ყველაზე მეტად დაზარალდა საცალო ვაჭრობა, რომლის შემცირებამად ისტორიულ მაქსიმუმს მიაღცია და კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 8.7%-ით შემცირდა. მოცემული პრობლემა ყველა მსგავს სფეროს შეეხო რაც აისახა კატასტროფული ეკონომიკური ვარდნით.

FIGURE E.

Percent Change in Retail Sales Relative to Business Cycle Peak by Business Cycle

Source: U.S. Census Bureau 1980–2020; NBER n.d.; authors' calculations.
Note: The figure shows the percent change in advance real retail and food sales from the peak of a business cycle until sales return to the level of the previous business cycle peak. Data are deflated using the Consumer Price Index for All Urban Consumers (1982-84=100). Data are adjusted for seasonal, holiday and trading-day differences.

THE HAMILTON PROJECT
BROOKINGS

მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით, ნათლად ჩანს, თუ რამხელა ეკონომიკური კოლაფსი გამოიწვია ვირუსის გავრეცელის შესაჩერებლად გამოყენებულმა შეზღუდვებმა მთელი ქვეყნის მასტაბით.

შეზღუდვების შედეგად გამოწვეული ზარალი ბუნებრივია შეეხო სამრეწველო საქმიანობასაც, რაც უდიდესი დარტყმა აღმოჩნდა ამერიკის ეკონომიკისათვის. კარგადაა ცნობილი რომ ამ სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხოვანია (13მილიონი). ვირურის გავრცელების სისწრაფიდან და მისი რთული ბუნებიდან გამომდინარე აღნიშნული სფეროც ისევე როგორც ყველა დანარჩენი ფაქტობრივად კაატსტროფის წინაშე აღმოჩნდა.

უდიდესი დარტყმა განიცადა მცირე ბიზნესმა სადაც მოსახლეობის დაახოებით ნახევარია დასაქმებული. საშუალო შემოსავალი 47.5%-ით შემცირდა ტურისტულ სექტორში, 14.1 პროცენტით საცალო და სატრანსპორტო სექტორში, 16.4%-ით განათლებისა და ჯანმრთელობის სფეროში, საერთო ჯამშივარდნა 19.1%-ს შეადგენდა.

FIGURE 1.

Change in Small Business Revenue for Selected Industries Relative to January 2020, January–August 2020

Source: Chetty et al. 2020.
Note: Data are for January 10, 2020 to August 9, 2020. Raw data are collected from Womply, a firm-based panel data set of small business revenue. "Revenue" is defined as the sum of all credits (generally purchases) minus debits. Data are seasonally adjusted, calculated as a seven-day moving average, and indexed to January 4–31, 2020. Chetty et al. (2020) analyze Womply data at the two-digit industry level and then aggregate using NAICS supersector codes. "All Industries" includes both the shown supersectors as well as the other supersectors (e.g., manufacturing, financial services, etc.). For more on supersectors, see BLS 2019.

THE HAMILTON PROJECT BROOKINGS

განსაკუთრებული პრობლემები შეექმნათ ოჯახებს რომლებსაც არ ქონდათ მაღალი შემოსავალი და ყავდათ ბევრი შვილი. მათთვის ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვა პანდემიის პირობებში ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. ბუნებრივია, რომ პანდემია ყველა ოჯახზე ერთნაირად არ აისახებოდა, შესაბამისად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომმსგავსი ოჯახი გადაუწყვეტელი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. რასაც ქვემოთ მოცემული დიაგრამა ნათლად ადასტურებს

FIGURE 8A.

Share of Families Experiencing an Income Shock by Race and Presence of Children



Source: U.S. Census Bureau (Household Pulse Survey) 2020b; authors' calculations.
Note: The Household Pulse Survey asks individuals about their experiences with employment, spending, food security, housing, and health during the COVID-19 pandemic. It is designed to be both state-level and longitudinal, a short-turnaround instrument to aid in post-pandemic recovery. These data were taken from Week 12 of the survey, representing July 16–21. The sample is restricted to prime-age adults, aged 24–54.

FIGURE 8B.

Share of Families Experiencing an Income Shock by Household Income and Presence of Children



Source: U.S. Census Bureau (Household Pulse Survey) 2020b; authors' calculations.
Note: The Household Pulse Survey asks individuals about their experiences with employment, spending, food security, housing, and health during the COVID-19 pandemic. It is designed to be both state-level and longitudinal, a short-turnaround instrument to aid in post-pandemic recovery. These data were taken from Week 12 of the survey, representing July 16–21. The sample is restricted to prime-age adults, aged 24–54.

THE HAMILTON PROJECT BROOKINGS

პანდემიისგან გამოწვეული ზიანის შესამცირებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში ამუშავდა დახმარების პროგრამები მათთვის ვინც სამსახური დაკარგა ან დიდი ზიანი განიცადა. მოსახლეობის 73%-მა მოითხოვა ფინანსური დახმარება, 25%-

მა მოითხოვა სესხი, 13%-მა მოითხოვა სესხსის გადავადება. უნდა არინიშნოს, რომ მოცემული პროექტები საკმაოდ მსხვილმასშტაბიანი იყო. თავდაპირველად სახელმწიფომ გამოყო 350 მილიარდი. ვინაიდან მოცემულმა თანხამ ყველა პრობლემა ვერ გადაჭრდა, მეორე ნაკადად გამოიყო 310 მილიარდი.



მოცემულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, რომ შევაჯამოთ პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კოლაფსი ერთ-ერთი უდიდესია ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში. ასევე უნდა აღინიშნოს რომ მიუხედავად მოცემული ცნობებია ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთი უპირველესია ვინც იპოვა ზღვარი ეპიდემიის ნაწილობრივ გავრცელებასა და ეკონომიკის აღდგენას შორის.

2.2. კორონავირუსი და მისი გავლენა ჩინეთის ეკონომიკაზე

შემდეგ ჯერზე გამოვიკვლიე თუ რამდენად დიდი ეკონომიკური კოლაფსი შეუქმნა ახალმა კორონავირუსის პანდემიამ ჩინეთს. მოგეხსენებათ ჩინეთი მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე ეკონომიკაა. მისი ზრდის ტემპი პირველია მსოფლიოში და ავრაუდობენ, რომ უახლოესმომავალში პირველი და შესაბამისად ყველაზე ძლიერი ეკონომიკა იქნება მთელს მსოფლიოში.

გამომდინარე იქიდან, რომ უპირველესად ვირუსი სწორედ ჩინეთში გავრცელდა, არსებობდა რისკები, რომ ქვეყანა ვერ დაიცავდა საკმარისად კარგად თავს, რაც ეკონომიკის ჩამოშლას გამოიწვევდა.

შეიძლება ითქვას რომ ვირუსის გავრცელების პირველი დარტყმის თავის თავზე აღება სწორედ ამ უმძლავრესი ეკონომიკის ქვეყანას ხვდა წილად. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არავინ იცოდა ვირუსის ბუნების შესახებ, რა ფორმით და რამდენად სწრაფად ვრცელდებოდა, ჩინეთის ერთ-ერთ ქალაქში (უხანში) აღმოჩნდა, რომ ბევრი ადამიანი ახლი ვიუსით იყო დაინფიცირებული, შესაბამისად ქვეყანას მოუწია უკიდურესი ზომისთვის მიემართა, გამოაცხადა მთელი ქალაქის კარანტინი. მოცემული აგდაწყვეტილება მთელი მსოფლიოსათვი შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. მსგავსი რამ ბევრ განონილიც არ ქონდა, შესაბამისად მსოფლიო მოიცვა პანიკამ, რომ საქმე გვქონდა ერთ-ერთ უმძლავრეს ვირუსთან კაცობრიობის ისტორიაში.

მას შემდეგ რაც ვირუსმა ევროპაში და ამერიკაში დაიწყო გავრცელება, ბევრმა ქვეყანამ ჩინეთი დაგვიანებულ რეაგირებაში დაადანაშაულა, შესაბამისად გაიზარდა ქვეყანაზე წნეხი რასაც შემდეგ ბევრი ინვესტორის პროტესტი მოყვა და მათ დაიწყეს ქვეყნის დატოვება. ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რომ პასუხისმგებლობა ვირუსის გავრცელებაზე პირველ რიგში ჩინეთს ეკისრებოდა, შესაბამისად გადაწყვიტეს, რომ მათ ამის გამო უნდა გადაეხადათ მსოფლიოსთვის, ამიტომ დაიწყეს ჩინეთის ბაზრის დატოვება რამაც უდიდესი პრობლემები გამოიწვია. ჩინეთის უპირველესი ,,მტერი“ ამ შემთხვევაში ამერიკა აღმოჩნდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე აუცილებლად ჩავთვალე გამომეკვლია თუ რამდენად დიდი ზიანი მიადგა ჩინეთს, განიცადა თუ არა ეკონომიკური კოლაფსი, რამდენად ექვემდებარება უახლოეს მომავალში აღნიშნული ეკონომიკა ძველ

ნიშნულზე დაბრუნებას და მიიღეს თუ არა ადეკვატური ზომები რათა სასწრაფოდ გადაეჭრათ პრობლემა.

ჩინეთსი კორონავირუსის პირველი დადასტურებული ემთხვევა ოფიციალური მონაცემებით 2019 წლის დეკემბერში გამოვლინდა, პირველი გარდაცვალება კი ქალაქ უხანში დაფიქსირდა 2020 წლის 9 იანვარს.

უპირველესი ეკონომიკური დარტყმა ჩინეთზე გამომჟავნდა ვირუსის გავრცელებიდან უმოკლეს დროში მაშინ, როდესაც 50%-ით სემცირდა მოთხოვნა საქონელზე წინა წელთან შედარებით. ჩინეთის ექსპორტი ფაქტობრივად უახლესისტორიის მონაცემებთან შედარებით მინიმუმამდე დავიდა და განიაცდა 17%იანი შემცირება.



მოცემული სტატისტიკა ნათლად ასახავს თუ რამხელა ვარდნა განიცადა ჩინეთის ექსპორტმა ვირუსის გავრცელების დადასტურების პირველივე თვეებიდან. აღნიშნულ მონაცემებზე დაკვირვებით ნათლად ჩანს თუ რა მოულოდნელი დარტყმა მიადგა ჩინეთს, რაც ჯერ მხოლოდ დასაწყისი იყო.

მსოფლიომ დაიწყო პარალელების გავლება უდიდეს კრისიებსა და ახალ რეალობას შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ძლიერი და უსწაფესი დარტყმა საკამათოა

ოდესმე თუ მიუღია რომელიმე ეკონომიკას, რათქმაუნდა თუ არ ჩავთვლიდ პირველსა და მეორე მსოფლიო ომს. თუმცა ომის დროს არის პროდუქტები, რომელზე მოთხოვნაც იზრდება, რაც შეეხება პანდემიას მსოფლიო განიხილავს ეკონომიკაზე სამმაგი დარტყმის სქემას: 1. შიდა მარაგების მოშლა, 2. გლობალური მოთხოვნის შემცირება, 3. გადამდები ეფექტის გავრცელება და ლოკალური პრობლემების გლობალურად გადაქცევა (ქვეყნების კონკრეტული პრობლემების ზემოქმედება გლობალურ, მსოფლიო ეკონომიკაზე).

პანდემიით გამოწვეული პრობლემები ბუნებრივია მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობასა და ეკონომიკის მდგრადობას შორის არჩევანის გაკეთებას არ მოიცავს. ეპიდემიით გამოწვეული მოთხოვნის შემცირება პროდუქტებზე წყვეტს იმ ჯაჭვებს, რომლებიც შეიძლება ითქვას ასაზრდოებენ და აძლიერებენ ეკონომიკას. შესაბამისად მას შემდეგ რაც ვირუსი მსოფლიოში გავრცელდა ჩინეთის ეკონომიკამ დაკარგა ბევრი საყრდენი ვინაიდან კატასტროფულად შემცირდა მოთხოვნა შესაბამისად იკო ექსპორტმა. ამას დაემატა ჩაკეტილი ქალაგები, გაჩერებული ეკონომიკა, რამაც ფაქტობრივად უდიდეს რეცესიას დაუდო საფუზველი.

ჩინეთისთვის უმთავრეს პრობლემად იქცა ის, რომ გლობალური ეკონომიკის უპირველესი კვანძი იყო, შესაბამისად თითოეულ პარტნიორ ქვეყანაზე ეკონომიკური დარტყმა უარყოფითად აისახებოდა ასევე ჩინეთის მდგომარეობაზე.

მაგალითისთვის უნდა აღინიშნოს, რომ 2006 წელს ჩიეთზე მიბმული იყვნენ : მაკაო, სინგარუპი, ჰონგ კონგი და სამხრეტი კორეა. 2016 წლისათვის კი ქვეყნების რაოდენობა 27-მდე გაიზარდა.





მოცემული მონაცემები ცალსახად ადასტურებს ახალი რეალობიდან გამომდინარე, თუ რამდენად გადაჯაჭვულია ჩინეთის ეკონომიკა დანარჩენი 27 ქვეყნის

ეკონომიკაზე. აღნიშნულ მონაცემებზე მცირედი დაკვირვებაც კი სამარისია, რომ განვსაზღვროთ თუ რამდენად დიდი დარტყმა შეიძლებოდა მიეყენებინა უეცრად წარმოქმნილ პანდემიას ზემოთხსენებული ქვეყნებისათვის.

Timing of Impact	(1) Predicted Δ in Exports (%)	(2) Rel. Impact Contributions (%) Supply Shock	(3) Demand Shock	(4) GVC Contagion
Immediate only	-38.7	13.0	49.8	37.2
1st Lag only	-23.7	29.0	3.4	67.6
2nd Lag only	9.6	27.3	106.3	-33.5
3rd Lag only	6.8	59.7	36.6	3.8
Aggregate Net Impact	**-46.0**	**11.4**	**16.0**	**72.5**

მოცემული ცხრილი შეიძლება ითქვას, რომ იდეალურად ასახავს თუ რამდენად დიდი გავლენა ქონდა პანდემიის შედეგად გამოწვეულ ვაჭრობისა და მოთხოვნის შემცირებას ეკონომიკაზე.

2008 წლის დიდი კრიზისისგან განსხვავებით გაჩნდა ახალი რეალობა რაც უდიდეს პრობლემას ქმნიდა. ეკონომიკის ნგრევა უნდა შეჩერებულიყო ფაქტობრივად გაჩერებული ეკონომიკის პირობებში. რადგან თუ მოხდებოდა თუნდაც საკვანძო ობიექტების სრულად გახსნა ეს გამოიწვევდა მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის გარდაცვალებას. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთი გადაუწყვეტელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა.



ჩემს მიერ მოყვანილი მონაცემები ნათლად ასახავს თუ რამდენად დიდი გამოწვევის წინაშე დგას ჩინეთი. მაშინ როდესაც მსოფლიოში გაიზარდა უმუშევრების და გაღარიბებული ადამიანების რაოდენობა, სამწუხაროდ ვირუსს ემსხვერპლა უამრავი ადამიანი მაინც უნდა აღინიშნოს, პირველი დარტყმა მიიღო სწორედ ჩინეთმა და ბევრმა ქვეყანამ შეამცირა ეკონომიკური ურთიერთობები, უნდა აღინოშნოს რომ ჩინეთი არის ერთ-ერთი პირველი ქვეყანა ვისაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის ყველაზე დაბალი პროცენტი ყავს ინფიცირებული(მათ შორის გარდაცვლილები), ალბათ მსოფლიოშიერთ-ერთი უპირველესი ქვეყაა ვინც შეიძლება ითქვას სრულფასოვნად მართა პანდემია და აგრეთვე უპირველესია ვინც დაიწყო ეკონომიკის სრულფასოვნად აღდგენა.

საბოლოო ჯამში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩინეთის მოსახლეობა აღმოჩნდა ცნობიერების დონის მწვერვალზე, რადგან გამოიჩინეს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, ზედმიწევნით დაიცვეს სახელმწიფოს მიერ დაწესებული რეგულაციები და მაქსიმალურად ცდილობენ გაუმკლავდნენ დანარჩენ მსოფლიოში პანდემიით გამოწვეულ ნეგატიურ ასპექტების ასახვას მათსავე ქვეყანაზე.

2.3. თურქეთის ეკონომიკა პანდემიის პირობებში

თურქეთი _ ქვეყანა , რომელიც მდებარეობს საქართველოს მეზობლად და რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვის. ამას გარდა,ეს არის ქვეყანა სადაც დასაქმებულია ათასობით საქართველოს მოქალაქე. ამჟამად 27 000 ადამიანზეა გაცემული ვიზა, თუმცა, როგორც ცნობილია, მეტია არალეგალურად მომუშავე მოქალაქეების რაოდენობა. აქედან გამომდინარე , განვიხილავ თურქეთის ეკონომიკურ მდგომარეობას პანდემიის პირობებში.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში კორონა ვირუსი შედარებით გვიან შევიდა, 11 მარტს, მოხდა საკმაოდ სწრაფი გავრცელება. 12 აპრილის მონაცემებით, ქვეყანაში უკვე 1 198 ადამიანი იყო გარდაცვლილი, ხოლო დაინფიცირებული 56 956 მოქალაქე. ამ გავრცელებას ხელი შეუწყო რამდენიმე ფაქტორმა, ერთ-ერთი გახლავთ მოსახლეობის სიმრავლე, რომელიც საერთო ჯამში 88 მილიონ ადამიანს შეადგენს, მათ სორის 5 მილიონ ლტოლვილს. შესაბამისად მსგავსი რაოდენობის მოსახლეობაში , უფრო მეტად რთულია გააკონტროლო აკრძალვების პირობების დაცვა და თუნდაც სახლში გამოკეტო. ეპიდემიის ცენტრად მოიხსენიებენ თურქეთს, სადაც შემთხვევების დაახლოებით 60 %-ს შეადგენდა. ესეც გამოწვეული იქნა, იქედან გამომდინარე , რომ მხოლოდ ამ ქალაქში 16 მილიონი მოსახლეობა ცხოვრობს და ამასთან ერთად ტურისტული თვალსაზრისით ლიდერი ქალაქია.

თურქეთმა პანდემიის საწინააღმდეგოდ გაატარა ჯანმოს მიერ დაწესებული შეზღუდვები, რაც მოიცავდა : საზღვრების დაკეტვას, სავაჭრო ცენტრების, რესტორნების და ბარების დაკეტვას. შეზღუდვები გაავრცელა ქუჩაში გამოსვლაზეც, რაც ეკრძალებოდათ 65 წლის ზემოთ და 20 წლის ქვემოთ მოქალაქეებს. მიიღო ყველა ის ზომა, რაც მაქსიმალურად ხელს შეუშლიდა ვირუსს გავრცელებაში, თუმცა მიუხედავად ამისა მაინც ვერ მოხდა ვირუსის შეჩერება.

პირველი, რაც თურქეთმა გააკეთა ეკონომიკისთვის , გახლდათ ის , რომ მალევე გამოყო 100 მილიარდ ლირიანი პაკეტი, რაც დაახლოებით 15 მილიარდი აშშ

დოლარია. ხოლო 2 მილიონ გაჭირვებულ ოჯახს დაურიგა 1000 ლირა დახმარების სახით.

გამომდინარე იქედან, რომ თურქეთს პანდემიამდეც ქონდა ეკონომიკური პრობლემები, რთული გახდა მხოლოდ ამ ერთი რეფორმით ეკონომიკის დახმარება. ჯერ კიდევ,უახლოეს პერიოდში, 2019 წელს თურქეთის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 0.9% - ს შეადგენდა, რაც ძალიან ცოტაა. მაღალი იყო ინფლაცია, ეროვნული ვალუტა განიცდიდა, სწორედ ამ პერიოდში დევალვაციას. შემცირდა როგორც სავალუტო რეზერვების რაოდენობა, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა. ამ ყველაფერმა გამოიწვია უმუშევრობაც. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ვფიქრობ კორონა ვირუსი საკმაოდ დიდი დარტყმა იქნებოდა თურქეთისთვის.

პანდემიამდე დაწყებულ უმუშევრობის ზრდას, რაც შეადგენდა 2019 წლის დეკემბერში 4,5 მილიონ მოქალაქეს, დაემატა 5 მილიონი უმუშევარი.

ისევე, როგორც სხვა ყველა ქვეყანაში პარალიზდა ტურიზმის სექტორი, რომელიც როგორც საქართველოსთვის ასევე თურქეთისთვისაც ეკონომიკის საკმაოდ დიდ ნაწილს, 12% -ს შეადგენდა რაც 34,5 მილიარდი აშშ დოლარი იყო 2019 წლის მონაცემით. აღნიშნული სექტორის შეჩერებას, შესაბამისად მოყვა იმ დასაქმებულების უმუშევრად დარჩენა , რომლებიც ამ სფეროში მუშაობნენ. რომელთა რაოდენობაც 1,2 მილიონ ადამიანს შეადგენდა.

უმუშევართა რიგს, შეემატნენ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირები, რადგან ამ სფეროში ძირითდად 65 წელს გადაცილებული მოქალაქეები მუშაობდნენ, მათ კი შეზღუდული ქონდათ ქუჩაში გადაადგილება.

თურქეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური შემოსავალი, რასაც ექსპორტიდან იღებდა, საკმაოდ შემცირდა. პანდემიის დასაწყისშივე, მარტში, 18 %-ით იკლო ექსპორტმა უცხოეთში.

ფიგურა 4: სამომხმარებლო ფასების დონე - 2020 წლის I ნახევრის წლიური (%)



წყარო: ცენტრალური ბანკები; ავტორის გამოთვლები

როგორც სტატისტიკურად ვხედავთ, თურქეთსა და საქართველოში ინფლაცია მაინც მაღალ ნიშნულს იკავებს. უფრო დეტალურად , 2020 წლის პირველ და მეორე ნახევარში წლიური ინფაცია თურქეთში 11,9%-ს შეადგენდა ხოლო საქართველოში 6,4 %-ს. აღნიშნული გამოწვეული იყო, სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილებაზე, რადგან როდესაც საშუალო ხელფასი მცრდება , ფასები კი ზრდას განაგრძობს, შეუძლებელია ნეგატიური შედეგები არ მოყვეს.

თურქეთის საზღვრების ჩაკეტვა, საკმაოდ დიდი დარტყმა აღმოჩნდა საქართველოს მოქალაქეებისთვის. მარტო 2019 წლის მონაცემებით, თურქეთში დროებითი დასაქმების მიზნით 40 000 მსურველი გახლდათ. მათი დროებითი სამუშაო მოიცავდა თხილის და ჩაის პლანტაციებში მუშაობას. ამის სეზონი კი აპრილის მეორე ნახევარია, პერიოდი როდესაც პანდემიის პიკია თურქეთში. აქედან გამომდინარე ოჯახების დიდი ნაწილი შემოსავლის გარეშე დარჩა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სფეროც, რომლებსაც მნიშვნელოვნად დააზარალა თურქეთის საზღვირს დაკეტვამ. ბიზნესმენები, რომლებსაც საქართველოში შემოაქვთ გასაყიდი პროდუქტი, სტუდენტები და ავადმყოფები, რომლებისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თურქეთის კლინიკებში მკურნალობა. ერთადერთი რაც ,არ აკრძალულა , მაგრამ შემცირდა არის, სატვირთო მანქანების მიმოსვლა.

ფიგურა 1: ეკონომიკური ზრდა - 2017-20 წლების I ნახევარის და 2020-21 წლების 16.07.20 მდგომარეობით პროგნოზი (%)



წყარო: ეროვნული სტატისტიკის სამსახურები; მსოფლიო ბანკი; ავტორის გამოთვლები

აღნიშნულ ფოტოზე, ნათლად ჩანს თუ როგორი ვარდნა ქონდა 2019 წელს თურქეთის ეკონომიკას.

საბოლოო ჯამში , თურქეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ეკონომიკა სრულად არ უნდა პარალიზდეს, რადგან ქვეყანას არ აქვს შესაბამისი ეკონომიკური მდგომარეობა და ფუფუნება. არ აქვს შესაძლებლობა გამოაცხადოს სრული კარანტინი და კომენდატი და ამასთან ერთად , დახმარება გაუწიოს 88 მილიონ მოქალაქეს.

ამ პესიმისტური მონაცემების მიუხედავად, თურქეთმა შეძლო და ეკონომიკა 2020 წლის მე-3 კვარტალში 6,7%-ით გაზარდა. აღნიშნული ზრდა , და კრიზითან გამკლავება არატრადიციულმა მონეტარულმა პოლიტიკამ შეუწყო. (საბანკო კრედიტის მკვეთრად ზრდამ 41,5 % წ)

ამას დაემატა მთავრობის ეკონომიკურ ბლოკში ცვლილებები, რაც გულისხმობს ქვეყნის ცენტრალური ბანკის მმართველის განთავისუფლებას, რასაც მოყვა ქვეყნის ფინანსთა მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა. ამ ყველაფერს ინვესტორებისგან საკმაოდ დადებითი შეფასება მოყვა, რამაც გამოიწვია , შესაბამისად ინვესტორების შესვლა თურქეთში და ლირის გამყარებაც.

2.4 COVID-19_ის გავლენა საქართველოზე

კორონავირუსის დაავადება საქართველოში პირველად 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. პირველი ინფიცირებული ირანის ტერიტორიიდან შემოვიდა, სადაც თებერვლის თვის შუა რიცხვებში გავრცელდა აღნიშნული ვირუსი.

პირველივე შემთხვევის გამოვლენის შემდგომ, ჯანდაცვის მინისტრმა, ქ. ეკატერინე ტიკარაძემ გააკეთა საზოგადოებისთვის საგანგებო განცხადება, სადაც აცნობა მოსახლეობას კორონა ვირუსის შესახებ.

21 მარტს კი საქართველოს პრეზიდენტმა, ქ.ნ. სალომე ზურაბიშვილმა , ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ხოლო 22 მარტს ,საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ საზოგადოებას ვირუსის პირველი შიდა გადაცემის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

ასევე პარალელურად შეიქმნა გვერდი WWW.STOPCOV.GE და მთავრობის ერთიანი ცხელი ხაზი - 144 , რომლის საშუალებითაც მოსახლეობას ექნებოდა საშუალება მიეღოთ სრული ინფორმაცია : დაინფიცირებულების, შემდგომში გამოჯანმრთელებულების და გარდაცვლილების შესახებ. ამას გარდა, ექნებოდათ შესაძლებლობა ,როგორც ფოტოზე აღნიშნულია, მიეღოთ რეკომენდაციები, გაცნობოდნენ მიმდინარე შეზღუდვებს, ენახათ ინფორმაცია ტესტირების განმახორციელებელი დაწესებულების შესახებ და ა.შ.

11 მარტს მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციამ, ახალი კორონავირუსი COVID-19-ის გავრცელება პანდემიად გამოაცხადა.

„შემდეგი დღეებისა და კვირების განმავლობასი ველოდებით ვირუსის შემთხვევებს, სიკვდილიანობის ზრდას და იმ ქვეყნების რაოდენობა, სადაც ვირუსი შეაღწევს, გაიზრდება. ჩვენ ძალიან შეშფოთებულები ვართ, როგორც გავრცელების მაღალი დონით, ისე ვირუსის სირთულით. ამიტომ ვაცხადებთ, რომ COVID 19 შეიძლება შევაფასოთ, როგორც პანდემია“ _ განაცხადა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დირექტორმა

ასეთ შემთხვევაში კი, როდესაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია პანდემიას აცხადებს, ეს პირდაპირ მიუთითებს იმას, რომ საჭიროა ფინანსების მობილიზება, რათა მსოფლიომ ერთობილივი ძალებით შეძლოს გამკლავება პანდემიასთან.

ჯანმოს მოწოდება ვირუსთან საბრძოლველად იყო შემდეგი : გაეზარდათ საგანგებო ზომები. მაქსიმალური კომუნიკაცია ჰქონოდათ საზოგადოებასთან და მათთვის ცნობიერება აემაღლებინათ . მიეწოდებინათ ინფორმაცია თუ როგორ უნდა დაეცვათ თავი ვირუსისგან. ნებისმიერი სიმპტომის შემთხვევაში დაეფიქსირებინათ თავიანთი მდგომარეობა, ჩაეტარებინათ ტესტი და დადასტურების შემთხვევაში გამოეკვლიათ მასთან კონტაქტში მყოფი პირები, რათა ისინიც იზოლაციაში მოექციათ. რაც მთავარია, გადაემზადებინათ მედიცინის მუშაკები, რათა არ ყოფილიყო დეფიციტი და შესაძლებელი ყოფილიყო ყველა პაციენტის მკურნალობა.

ამ მოწოდების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ კორონა ვირუსთან საბრძოლველად გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა : შეიზღუდა საერთაშორისო მიმოსვლა, დაიკეტა საზღვრები. ასევე შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა. დაიხურა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები. სამსახურების უმრავლესობა გადავიდა ონლაინ რეჟიმზე. მხოლოდ ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელი დაწესებულებები დარჩნენ მუშა მდგომარეობაში : აფთიაქები, საკვები ობიექტები,სასწრაფო და სახანძრო სამაშველო ჯგუფი ... სადაც , ასევე მკაცრად უნდა ყოფილიყო დაცული დისტანცია და ეკიპირება.



აღნიშნულ ფოტოზე ასახულია , თუ როგორ შეიცვალა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება პანდემიის და იმ აკრძალვების პირობებში, რომელიც გამოცხადებული იქნა ქვეყანაში .

თუმცა როგორც ვნახეთ, ამ ყველა გაფრთხილების და მოწოდების მიუხედავად მაინც იყო ფაქტები დაუმორჩილებლობის, გავრცელების და შესაბამისად სამედიცინო მუშახელის დეფიციტის. შეუძლებელია საკმარისი სამედიცინო პერსონალის მოძიება, თუკი საზოგადოება არ გაიაზრებს თავის წილ პასუხისმგებლობას და არ დაემორჩილება იმ მოწოდებებს რომელსაც ჯანმო გასცემს აღნიშნულ ვითარებაში. ამ ფაქტის წინაშე დავდექით 2020 წლის ნოემბრის და დეკმებრის თვეებში, როდესაც ჯანდაცვის სისტემამ ვეღარ შეძლო დაინფიცირებულების მიღება, ადგილების არ ქონის გამო. თუმცა მკაცრი ზომების მიღებამ, შეამცირა შემთხვევები , რამაც ხელი შეუწყო ჯანდაცვის სისტემას ემართათ სიტუაცია.

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა დაეწყო ბრძოლა 2 მიმართულებით :

* მოქალაქეების ჯანმრთელობის სიცოცხლის გადასარჩენად

* საქართველოს ეკონომიკის გადასარჩენად

ამ არჩევანის წინაშე არ დამდგარა მხოლოდ საქართველო. კორონა ვირუსთან საბრძოლველად, საქართველოს, ისევე როგორც მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებს უწევთ არჩევანის გაკეთება ჯანდაცვასა და ეკონომიკას შორის. სოციალური დისტანცია და სრული ჩაკეტვა ერთის მხრივ ხელს უწყობთ პანდემიასთან ბრძოლაში, მეორეს მხრივ არათუ აფერხებს არამედ უკანაც კი წევს ეკონომიკურ მდგომარეობას.

2.5. COVID-19_ის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რომელიც მსოფლიოში განვითარდა, გამოწვეულია COVID-19_ის პანდემიით და იმ შეზღუდვებით, რისი გატარებაც მთავრობას მოუწია პანდემიისგან თავის დასაღწევად.

აღნიშნულმა ვირუსმა მნიშვნელოვანი ზარალი მოუტანა არამარტო საქართველოს , მთლიანად მსოფლიოს. ტურიზმი, ვაჭრობა, იმპორტი (შემცირდა 39%_ით) , ექსპორტი (შემცირდა 28%_ით) ,მოთხოვნა-მიწოდების ნაწილი_ ეს ის ჩამონათვალია, რომლებმაც საკმაოდ დიდი შოკი განიცადეს პანდემიის დროს.

აღსანიშნავია, რომ, საქართველო, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე, განიცადა საკმაოდ დიდი შოკი ეკონომიკური კუთხით. კერძოდ, კორონა ვირუსმა შეაფერხა ის დადებითი მუხტი ეკონომიკაში , რომელიც 2019 წელს აღინიშნებოდა. სწორედ ამ პერიოდში ფიქსირდებოდა მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდა- 5,1 %_ით. დეტალურად , რომ განვიხილოთ რა ფაქტორებმა განაპირობეს პოზიტიური გავლენა ეკონომიკაზე, ესენია:

- ტურიზმი, საიდანაც შემოსავალი იყო 3.3 მლრდ. აშშ დოლარი.
- ფულადი გზავნილები, რომელმაც შეადგინა 1,5 მლრდ. აშშ დოლარს.
- საქონლის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალმა კი 3.8 მლრდ. აშშ დოლარს მიაღწია.

ამ ყველაფერმა კი განაპირობა ბიუჯეტის ზრდა. რისი საშუალებითაც სახელმწიფომ შეძლო განეხორციელებინა კაპიტალური ინვესტიციების რეკორდული მაჩვენებელი და მშპ 8%_ის მიეღწიათ, რაც აქამდე არ დაფიქსირებულა.

თუმცა პანდემიამ საკმაოდ დიდი დაღი დაასვა ქვეყნის ეკონომიკას და ბიუჯეტს. შესაბამისად საჭირო გახდა სახელმწიფოს მოეძიებინა დამატებითი რესურსები, რითაც შეძლებდა დახმარებოდა , როგორც მოქალაქეებს და კერძო სექტორს ასევე შეექმნა ბიუჯეტში რეზერვი , რათა მზად ყოფილიყვნენ მოსალოდნელი დარტყმისთვის. აქედან, გამომდინარე საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა

მოლაპარება ეწარმოებინა საერთაშორისო პარტნიორებთან. უნდა აღინიშნოს , რომ საქართველო იყო პირველი ქვეყანა,რომელმაც პანდემიის დროს, მიიღო გაზრდილი დაფინანსება , საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან. საერთო ჯამში ქვეყანამ მიიღო 3 მილიარდი აშშ დოლარი საბიუჯეტო დახმარება.

ტურიზმი

მიუხედავად გლობალური პანდემიისა , 2020 წელს საქართველოს პარტნიორ ქვეყნებში ეკონიმიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. რის შედეგადაც , საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღბული შემოსავლები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები , მნიშვნელოვნად შეიკვეცა. ტურიზმის შეჩერებამ საკმაოდ უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ყველაფერმა ერთად კი გავლენა მოახდინა ლარის გაცვლით კურსზე.

აღნიშნული სურათიდან ნათლად ჩანს თუ რა ზარალი შეიძლება მიეყენებინა ტურიზმის სრულ პარალიზებას , როგორც სახელმწიფოსთვის და ბიზნესისთვის , ასევე იმ 150 000 ადამიანისთვის , რომლებიც დასაქმებულები იყვნენ ამ სფეროში. ასევე არანაკლები ზარალი განიცადეს, იმ სასტუმროებმა, რომლებიც გათვლილი იყო ტურიზმისთვის .

უფრო დეტალურად რომ განვავრცოთ ტურიზმის მდგომარეობა პანდემიამდე რამდენიმე თვით ადრე და პანდემიის დროს, ასეთია : 2020 წლის თებერვალში ტურისტების რაოდენობა 4 %_ით გაიზარდა წინა წლის ამ თვის მონაცემებთან შედარებით. თებერვალში საქართველოში ტურისტების რაოდენობა 257,547 შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 9842 _ ით მეტია.

საქართველოში 2020 იანვრის თვის მდგომარეობით, საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი შეადგენს 193 მილიონ დოლარს, რაც გულისხმობს 17,6% ზრდას, ეს კი 29 მილიონით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე.

როგორც აღვნიშნეთ კორონა ვირუსმა საკმაოდ დიდი უარყოფითი გავლენა იქონია ტურისტულ და საავიაციო ბაზრებზე მსოფლიოს მასშტაბით, რაც ნათლად აისახა თებერვლის ბოლოდან. ვირუსის სწრაფი გავრცელების გამო პირველ ორ თვეში საერთაშორისო ავიაციის დანაკლისმა 4,9% შეადგინა. ვარაუდობნდენ რომ წლიურ დანაკლისს შესაძლოა 13 %_ისთვის მიეღწია , რაც ამ სექტორისთვის 28 მილიარდამდე დოლარის შემოსავლის შემცირებას გულისხმობდა.

ერთადერთი , რაც სახელმწიფომ შეძლო გაეკეთებინა და დახმარებოდა მათ, იყო სესხების გადავადება და მათი პროცენტების ნაწილის სუბსიდირება. თუმცა , ვფიქრობ ეს მათთვის არც ისე დიდი შვება იქნებოდა, გამომდინარე იქედან,რომ მათი შემოსავალი სავარაუდოდ ნულს უტოლდება.

სექტორი , რომელზეც თამამად შეიძლება ითქვას, დგას ქვეყნის ეკონომიკა, იმსახურებს და საჭიროებს კიდეც მეტ ყურადღებას და დახმარებას, რათა არ მოხდეს ამ სფეროს სრულად ჩამოშლა.

რაც მეტად დაეხმარება სახელმწიფო ტურიზმს, პანდემიის შემდგომ უფრო ადვილად შეძლებს აღდგენას, ტურისტების მოზიდვას და ამუშავებას.

ფულადი გზავნილები

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფულადი გზავნილები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოს ეკონომიკისთვის. ახლა განვიხილოთ სტატისტიკა თუ რამდენად იმოქმედა კორონა ვირუსმა გზავნილებზე.



შევადარებ უახლოეს პერიოდს და აღვნიშნავ , რომ 2020 წლის წმინდა ფულადი გზავნილები შეადგენდა 328.2 მილიონ აშშ დოლარს, რაც წინა წლის ასევე პირველ კვარტალს თუ შევადარებთ, უტოლდება და შეინიშნება 0,1%-იანი ზრდაც კი. ხოლო 2019 წლის ბოლო კვარტალთან თუ შევადარებთ, შეინიშნება 19,3 %-იანი კლება. მიუხედავად იანვარსა და თებერვლის თვეში დაახლოებით 7%-იანი ზრდისა,აღნიშნული კლება გამოიწვია მარტში მკვეთრმა, 12 პროცენტიანმა კლებამ. მსგავსი შემცირების მიზეზი გახდა, რა თქმა უნდა, გლობალური პანდემიის პირობებში ეკონომიკური გარემოს გაუარესება, რის გამოც გზავნილები შემცირდა და ასევე ნავთობის ფასების ზრდა, რამაც დიდი დარტყმა მიაყენა ისეთ ქვეყნების ეკონომიკას, რომლებიც დამოკიდებულები იყვნენ ნავთობზე. ერთ-ერთ ასეთ ქვეყანად შეგვიძლია განვიხილოთ რუსეთი, სადაც აღნიშნულმა გამოიწვია რუბლის მკვეთრი გაუფასურება, რამაც იმოქმედა საქართველოში გზავნილების შემცირებაზე. მაგალითად ,მხოლოდ მარტის თვეში გზავნილების 40 პროცენტიანი კლება აღინიშნება .

საგარეო ვაჭრობა (იმპორტი , ექსპორტი)

პოზიტიური ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი,როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის იმპორტი და ექსპორტი. უფრო აღქმადი, რომ იყოს თუ რა გავლენა იქონია პანდემიამ აღნიშნულზე, მოვიყვან სტატისტიკას.

* დიაგრამაზე ნაჩვენებია საგარეო ვაჭრობა, 2020 წლის იანვარი-თებერვლის მონაცემებით.



როგორც აღნიშნულ დიაგრამაზე ჩანს, მსოფლიოში გავრცელებული პანდემიის და მასთან საბრძოლველად გამოწვეული შეზღუდვების ფონზე, იკლო როგორც საგარეო მოთხოვნამ, ექსპორტმა, ასევე იმპორტმაც.

თავი 3. მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა

მთავრობამ, პანდემიის დროს გადაწყვიტა შეემუშავებინა ანტიკრიზისული გეგმა, რომლის საშუალებითაც შეძლებდა მაქსიმალურად მოეცვა, და დახმარებოდა ყველა იმ ბიზნესს და მოქალაქეს , რომელიც პანდემიამ დააზარალა. მაქსიმალურად შეემსუბუქებინა და შეემცირებინა ის ზარალი, რაც გზადაგზა პანდემიას მოჰქონდა.

სახელწიფომ აღნიშნული გეგმა დაყო 2 ნაწილად :

I ეტაპი

პირველი ეტაპი მოიცავდა იმ ღონისძიებების გატარებას , რომელიც ერთგვარად გადაუდებელ დახმარებად შეიძლება ჩაითვალოს.

● მოქალაქეებს 3 თვის კომუნალური გადასახადი დაუფინანსდათ _ რომლის საშუალებითად 1.2 მილიონზე მეტი ოჯახი განთავისუფლდა ელექტორენერგიის, წყლის და დასუფთავების გადასახადისგან. ხოლო 670 ათასზე მეტი ოჯახს დაუფინანსდა ბუნებრივი აირის გადასახადი. საერთო ჯამში სახელმწიფოს ხარჯი ამ ღონისძიებაზე, შეადგინა 150 მილიონი.

● მეორე ღონისძიება გახლდათ ის რომ, სახელმწიფომ დააზღვია 9 ძირითადი სასურსათო პროდუქტი , რომ არ მომხდარიყო გაცვლითი კურსის ცვლილებით

გამოწვეული ფასების ზრდა. რა დროსაც კონტრაქტი გააფორმა მსხვილ იმპორტიორ კომპანიებთან . პროდუქტების ჩამონათვალი იყო ასეთი : ბრინჯი, ლობიო, ზეთი, მაკარონი, წიწიბურა,შაქარი, ხორბალი, ფქვილი და რძის ფხვნილი. ამ პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტმა შეადგინა 15 მილიონ ლარი.

● ასევე სახელმწიფოს დახმარებით მოქალაქეებს სესხის გადახდის 3 თვით გადავადების საშუალება მიეცათ, რითაც ისარგებლა 600 000_მა მოქალაქემ.

● ავტოიმპორტიორებს ავტომობილის განბაჟების 90-დღიანი ვადა მიმდინარე წლის პირველ სექტემბრამდე გადაუვადდათ. ამ პროექტით ისარგებლა 38 000_მა იმპორტიორმა, სახელმწიფო ხარჯმა კი შეადგინა 50 მილიონს.

II ეტაპი

● მეორე ეტაპი დაიწყო მოქალაქეებზე ზრუნვით, რომელიც მოიცავდა მიზნობრივ სოციალურ დახმარებას. დაქირავებით დასაქმებულ პირები, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან გაუშვეს უხელფასო შვებულებაში , მიიღებდა დახმარებას 200 ლარის ოდენობით 6 თვის განმავლობაში- საერთო ჯამში 1200 ლარს. ამ პროექტისთვის გამოყოფილი იქნა 460 მილიონი ლარი. დახმარებით სარგებლობა შეეძლო დაახლოებით 350 000 მოქალაქეს.

● ასევე წაახალისა ბიზნეს სექტორი, რაც გულისხმობდა ყოველ შენარჩუნებულ სამუშაო ადგილზე, 6 თვის განმავლობაში 750 ლარის ოდენობის ხელფასის სრულად განთავისუფლებას საშემოსავლო გადასახადისგნ.

1500 ლარამდე ხელფასი კი , 750 ლარის ოდენობაზე გათავისუფლდებოდა საშემოსავლო გადასახადისგან .

ხოლო , არაფორმალურ სექტორში დასაქმებულები ან თვითდასაქმებულები, შემოსავლის დაკარგვის დადასტურების შემთხვევაში მიიღებდა ერთჯერადად 300 ლარ დახმარებას. რისთვისაც ბიუჯეტიდან გამოიყო 75 მილიონი ლარი.



● დახმარება შეეხოთ სოციალურად დაუცველ ოჯახები სარეიტინგო ქულების მიხედვით და ასევე მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და ბავშვები.

● ბიუჯეტი გამოიყო პენსიონრებისთვისაც. 2021 წლის იანვრიდან :

√ ყველა პენსიონერის პენსია გაიზრდება **არანაკლებ ინფლაციის მაჩვენებლისა,** რაც გულისხმობს იმას , რომ ფასების ზრდა გავლენას ვეღარ მოახდენს პენსიის მოცულობაზე.

√ პენსიის ზრდა არ იქნება 20 ლარზე ნაკლები, ხოლო 70 წელს გადაცილებული პენსიონერებისთვის 25 ლარზე ნაკლები.

√ ამასთან ერთად ძალაში დარჩა 70 წელს გადაცილებული პენსიონერებისთვის 1 ივლისიდან პენსიის 30 ლარით ზრდა.

ამ პროექტით ისარგებლებს 410 000 პენსიონერი.

ხელისუფლებას არც სოფლის მეურნეობა გამორჩენიათ თვალთახედვიდან. აღნიშნული სექტორისთვისაც მოხდა ანტიკრიზისული გეგმის შემუშავება.



ზრუნვა სოფელზე, ეს იყო მათი ლოზუნგი, რაც მოიცავდა სოფლის მეურნეობის დიდ ნაწილში ჩართულობას. ეს იქნებოდა: საწვავი, ტექნიკა, ფულადი დახმარება, მელიორაცია , დაზღვევა თუ საბანკო შეღავათები. ყველა ჩამოთვლილი იქნა ნაწილობრივ დაფინანსებული . ასევე 15 000 ლარამდე გამოყოფილი იქნა გრანტი , საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისთვის , რაც ვფიქრობ ერთგვარი მოტივაციაც უნდა ყოფილიყო გლეხისთვის.

ასევე 50 %-იანი გრანტი გამოიყო (არაუმეტეს 50 000 ლარისა), პირველადი წარმოების ზრდის ხელშეწყობისთვის, რაც მოიცავდა

- სასოფლო -სამეურნეო ტექნიკის შეძენას
- ახალი სასათბურე მეურნეობის მოწყობის ან არსებული სასათბურე მეურნეობის მოდერნიზაციას.

- ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთის სარწყავი სისტემის შესყიდვა/მონტაჟს.

საერთო ჯამში ბიუჯეტიდან აღნიშნული პროექტისთვის გამოიყო 10 მილიონი ლარი.



ამასთან ერთად შეძლეს მიეღოთ საბანკო შეღავათები აგროწარმოებისთვის. ერწლიანი კულტურებისთვის სესხის საპროცენტო განაკვეთის სრულად დაფინანსება 6 თვით.

საერთო ჯამში ამ პროექტისთვის ბიუჯეტიდან გამოიყო დაახლოებით 81 მილიონი ლარი.

ვფიქრობ, თუ გადავხედავთ სხვა სექტორებს პანდემიის პერიოდში , ყველაზე ნაკლები ზარალი განიცადა სოფლის მეურნეობამ.

3.1. განათლების სფეროს ანტიკრიზისული გეგმა

პანდემიის პირობებში განათლების სფერო, ვფიქრობ ყველაზე მეტად დადგა გამოწვევების წინაშე, რადგან იყო საფრთხე , რომ მოსწავლეებს და სტუდენტებს ვერ მიეღოთ სწავლა-განათლება და შესაბამისად ვერ შემდგარიყო სემესტრი. ეს პრობლემა არამხოლოდ საქართველოში , არამედ გლობალურად დადგა. თუმცა ,ვფიქრობ საკმაოდ ოპერატიულად მოხდა გამოსავლის მოძებნა, რაც მოიცავდა დისტანციურ სწავლებს.

აღნიშნულ სიტვაციაში, ხელისუფლების მთავარი მიზანი იყო, რაც შეიძლება სწრაფად შეძლებოდა ყველას სწავლის გაგრძელება და თან აბსოლუტურად ყველასთვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი. ერთადერთი გზა აღმოჩნდა დისტანციური სწავლება, რომელიც საკმაოდ მალევე დაინერგა და გავრცელდა.ასევე საკმაოდ ოპერატიულად გადამზადდნენ პედაგოგები, რათა სრულყოფილი გაკვეთილების ჩატარების საშუალება ჰქონოდათ.

შეიქმნა ასევე „ტელესკოლა“ , რომელიც მოიცავდა ყველა გაკვეთილს 1 კლასიდან მე-12-ე კლასის ჩათვილით. სადაც გაკვეთილებს ჩაატარებდნენ სხვადასხვა საგნის საკმაოდ გამოცდილი პედაგოგები.

რაც შეეხება, ონლაინ გაკვეთილებს , შეიქმნა MICROSOFT OFFICE 365 _ის 600 000-მდე სამომხმარებლო ანგარიში, რომელიც გათვლილი იყო მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისვის და სკოლის ადმინისტრაციისათვის. მოსწავლეებს და მასწავლებლებს MICROSOFT TEAM_ის საშუალებით მიეცათ შესაძლებლობა ვირტუალურად შეექმნათ საკლასო ოთახი , სადაც ყველას საშუალება ექნებოდა მიეღო განათლება და ჩართულიყო სასწავლო პროცესში თანაკლასელებთან ერთად.

აღნიშნული პროექტში ჩართული იყო როგორც განათლების სამინისტრო ასევე ბავშვთა ფსიქოლოგები, რადგან იყო საშიშროება, იმისა , რომ სწავლა განათლების დადებით მხარეებთან ერთად, შესაძლებელი იყო საკმაოდ დიდი უარყოფითი გავლენა მოეხდინა აღნიშნულ პროექტს, არამარტო ფსიქოლოგიურად არამედ ჯანმრთელობის კუთხითაც ბავშვებში.



უნდა აღინიშნოს რომ , მიუხედავად იმისა, რომ განათლების სისტემა საკმაოდ რთული გამოწვევის წინაშე დადგა პანდემიის დროს, საქართველომ მიიღო საერთაშორისო აღიარება და ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად ასახელებენ.

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს განათლების სფეროში, მაღალი შეფასება მისცა გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობამ. (UNICEF).

ვფიქრობ განათლება აღმოჩნდა , ის სფერო, რომელიც ყველაზე ნაკლებად დაზარალდა. ნაკლებად დაზარალდნენ, როგორც მომუშავე პერსონალი ასევე , მოსწავლეები .

3.2. დეველოპერული სექტორის ანტიკრიზისული გეგმა



დეველოეპრული სექტორი ეკონომიკაში ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა. მშპ წილი - 9 % შეადგენს, ხოლო დასაქმებული ადამიანების რაოდენობა 120 000-ს შეადგენს 2019 წლის მონაცემებით. არარეზიდენტების შესყიდვები 20 %, რაც 550 მილიონი ლარის შემოსავალია. აღნიშნული მონაცემებით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანია, სახელმწიფოსთვის ამ სექტორის შენარჩუნება და დახმარება. სხვა შემთხვევაში გამოიწვევს საკმაოდ დიდი მასის უმუშევრობას და სავალუტო ცვლილებასაც კი.

ძირითადი გამოწვევები, რაც ამ სექტორისთვის მოიაზრება გახლავთ:

- საცხოვრებელი ბინების გაყიდვების მაჩვენებლის ვარდნა
- მშენებლობის დასრულების რისკების ზრდა
- საცხოვრებელი ბინების ფასების მერყეობა
- დეველოპერული კომპანიების შემცირებული წვდომა ფინანსებზე.

თუ განვიხილავთ 2019-2020 წლისთვის მშენებლობის სტატისტიკას, მივხვდებით თუ რამდენად საჭიროა აღნიშნული სექტორის დახმარება და შენარჩუნება.

მაგალითისთვის 2019-2020 წელს მხოლოდ თბილისში აშენდა დაახლოებით 1 000 000 კვ.მ. , ხოლო ბათუმში 750 000 კვ.მ. საერთო ჯამში ერთი წლის მანძილზე მხოლოდ ამ ორ ქალაქში 35 000 საცხოვრებელ ბინაზე მეტი აშენდა.

ის რომ, საბანკო სექტორისთვისაც ძალზედ მნიშვნელოვანია დეველოპერული კომპანიების მუშაობა, ჩანს ამ წლის მონაცემებშიც, რა დროსაც 6,8 მლრდ. ლარის სესხი გაიცა, რაც გაცემული სესხების ძირითად ნაწილს, 88 %-ს, შეადგენს. 2019-2020 წელს იპოთეკური სესხით 25 000 ადამიანზე მეტმა ისარგებლა.

სახელმწიფოს არც აღნიშნული სექტორი გამორჩენია თვალთახედვიდან და მათ დასახმარებლად გარკვეული რეფორმები გაატარა. გადაწყვიტა, პირველ რიგში , დახმარებოდა მოქალაქეებს, ვისაც სურდა საცხოვრებელი ფართის შეძენა. დახმარება გამოიხატებოდა შემდეგში :

- სუბსიდირება იპოთეკური სესხის საპროცენტო განაკვეთის 4 %-ის
- აღნიშნული სუბსიდია გაგრძელდება 5 წლის განმავლობაში
- სუბსიდირება შეწყდება იმ შემთხვევაში , თუკირეფინანსირების განაკვეთი ჩამოხდება 5 %-ს, თუმცა თუ ასცდება ამ შემთხვევაში განაახლებს სუბსიდირებას.
- სუბსიდირების ლიმიტი დაწესდა და გაიცემა მხოლოდ 200 000 ლარამდე სესხებზე.
- აღნიშნული დახმარება შეეხება მხოლოდ მათ , ვინც 01.06.2020-01.01.2021 წლის პერიოდში ისარგებლებს იპოთეკური სესხით.

ასევე, მოხდა დევნილი ოჯახების დახმარება, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ სახელმწიფომ შეიძინა 150 მლნ. ლარის ღირებულების 1 800 -მდე მშენებარე ბინის შესყიდვა, 01.05.2020-01.01.2021 წლის პერიოდში. შესყიდვა განახორციელა აუქციონით, სადაც ერთ-ერთი პირობა იყო ის , რომ 1 კვადრატული მეტრის ფასი, არ უნდა ყოფილიყო 1700 ლარზე მეტი ღირებულების.

საერთო ჯამში , აღნიშნული პროექტისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 150 მლნ. ლარი.

ასევე მოხდა დაუმთავრებელი მშნებელობებისთვის ხელშეწყობის ღონისძიებების გატარება, რის ფარგლებშიც ობიექტებს შეეძლოთ მიემართათ სახლემწიფოსთვის, დახმარებოდნენ დასრულებაში და ოჯახების დაკმაყოფილებაში . არნიშნული პროექტით უკვე განხილულია 9 ობიექტის განაცხადი, რომლის ფარბლებშიც უკვე დაკმაყოფილებულია 3680 ოჯახი. განხილვაშია 30 ობიექტის განაცხადი, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც დაკმაყოფილდება 4000 მდე დაზარალებული ოჯახი.

საერთო ჯამში დეველოპერული სექტორისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 434 მილიონი ლარი. მოცემული თანხა განაწილდა შემდეგნაირად:

- 70 მლნ. ლარი _ სახელმწიფოს მიერ სუბსიდირება იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთებზე.
- 14 მლნ. ლარი - გამოიყო სახელმწიფომ გარანტიისთვის, იპოთეკური სესხების პორტფელზე.
- 150 მლნ. ლარი- სახელმწიფოს მიერ დევნილი ოჯახების საცხოვრებლების შესყიდვისთვის.
- 200 მლნ. ლარი - საცხოვრებელი ფართების მშენებლობის დასრულებისთვის.

დასკვნები და რეკომენდაციები

აღნიშნულ თემაში განვიხილეთ კორონა ვირუსის გავლენა, როგორც საქართველოზე ასევე მის პარტნიორ ქვეყნებზე. ამით მინდოდა დამენახებინა ის ფაქტი, რომ მხოლოდ საქართველოსთვის არ ყოფილა რთული მიმდინარე პანდემიასთან ბრძოლა. თუმცა , რამდენად სწორი რეფორმები გატარდა და რამდენად მზად უნდა ყოფილიყო ჩვენი სახელმწიფო მსგავსი ფორსზმაჟორული სიტუაციებისთვის ეს განხვილვის საკითხი ნამდვილად შეიძლება იყოს.

არსებული რესურსების ფონზე, როგორც ვნახეთ სახელმწიფო ვერაფერს გახდებოდა, რომ არა პარტნიორი ქვეყნების დახმარება და საგარეო ვალის აღება. ჩვენი ეკონომიკა , რომელიც დამოკიდებულია ძირითადად ტურიზმზე და საგარეო გადმორიცხვებზე, ვფიქრომ ხშირად დადგება მსგავსი კრიზისის წინაშე. ქვეყანაში, რომლის იმპორტიც აჭარბებს ექსპორტს და ამასთან ერთად , ძირითადი შემოსავლის წყაროც უუქმდება, ყოველთვის დადგება ეკონომიკური კრიზისის, წინაშე.

აქედან, გამომდინარე ვფიქრობ ხელისფულებამ , აღნიშნული უნდა ჩათვალოს გაკვეთილად და უნდა იზრუნოს , რომ არ იყოს დამოკიდებული ეკონომიკურად სხვა ქვეყანაზე.

პირველი ,რაზეც უნდა იზრუნოს, ვფიქრობ არის , ის რომ , მიხედოს სოფლის მეურნეობას. ეს არ უნდა იყოს,როგორც ამჟამად ხდება, ერთჯერადი დახმარება პანდემიის , და ფორსმაჟორულ სიტუაციებში. კარგად გვახსოვს, გლეხების პროტესტი, რაც შემდეგ მოსავლის განადგურებით დასრულდა, როდესაც მათ ნაშრომს და მოსავალს, იმაზე ნაკლებ ფასად აფასებდა სახელმწიფო, ვიდრე ხარჯი გაიწია. სახელწიფოს მხრიდან მსგავსი დამოკიდებულება სოფლის მეურნებულის მიმართ, არის დემოტივირება იმ გლეხების, ვინც ამჟამად დაკავებულია მეურნეობით, არათუ მოტივაცია და ამ სფეროს განვითარებაზე ზრუნვა. ის შეღავათები კი, რაც პანდემიის დროს შესთავაზა გლეხებს, ვთვლი არის მინიმუმი.

რა დადებითი შედეგები მოყვება სოფლის მეურნეობის განვითარებას?

1. მეტი დასაქმებული ადამიანი ქვეყანაში.

2. ექსპორტი აღარ გადააჭარბებს იმპორტს და აღნიშნული მინუსის დაბალანსება აღარ დაგვჭირდება სხვა სფეროებით. მაგალითად ტურიზმით ან საგარეო გადმორიცხვებით. აქედან შემოსავლები პირდაპირ ჩაითვლება მოგებად.

3. დამუშავდება მიწები ,მიტოვებულ სოფლებს დაუბრუნდება მოსახლეობა.

4. გვექნება მეტად ჯანმრთელი საკვები, ვიდრე იმპორტიდან ვიღებთ, რაც ჩვენს ჯანმრთელობაზე დადებითად იმოქმედებს.

ვფიქრობ, საკმარისი ჩამონათვალია იმისთვის, რომ სახელმწიფომ მიხედოს სოფლის-მეურნეობას.

პანდემიის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ვირუსთან გამკლავების სტრატეგია იმგვარად იყოს შედგენილი, რომ ქვეყნის ეკონომიკა მინიმალურად დაზარალდეს. სტატისტიკაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ პირველადი შეზღუდვები იყო არაადეკვატური, გადაჭარბებული, რამაც ფაქტობრივად ეკონომიკის ჩამოშლა გამოიწვია და გაგვიქრო შესაძლებლობა ეკონომიკის სწრაფი აღდგენისა ვინაიდან ყველამ იცოდა მეორე ტალღა გველოდა წინ. შესაბამისად ვისურვებდი, რომ მსგავსი პრობლემების წარმოქმნისას სახელმწიფო სასწრაფოდ ქმნიდეს პრობლემასთან ბრძოლის ადეკვატური რეაგირების გამოცდილ ჯგუფს, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს შეზღუდვების ადეკვატურობაზე, ვინაიდან თითოეული შეზღუდვა ჩვენს მსგავს პატარა ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე უდიდეს კვალს ტოვებს, რის გამოსწორებასაც წლები სჭირდება.

საქართველოსა და მის პარტნიორ ქვეყნებზე მსჯელობისას გამოიკვეთა, რომ მიუხედავად კორონავირუსამდე არსებული არაერთი პანდემიისა, კაცობრიობა არ აღმოჩნდა მზად სათანადო, ადეკვატური რეაგირება მოეხდინა ახლებულ რეალობაზე და მიზანმიმართული შეზღუდვებით მსოფლიო ეკონომიკისთვის მაქსიმალურად მცირე ზიანი მიეყენებინა.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმთავრესი პრობლემა მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლებაა, რადგან მსგავს სიტუაციებში წარმატების მიღწევის შესაძლებლობა თითოეულ ადამიანს უპყრია ხელთ.

ბიბლიოგრაფია

1. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90

2. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98_%E1%83%AD%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98

3. http://gh.ge/ka/disease/427/

4. https://www.history.com/topics/middle-ages/black-death

5. https://www.moh.gov.ge/uploads/guidelines/2017/06/07/4b920c1fc9c245f6dd3cbc4e6f2b5581.pdf

6. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A6%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90_(2009)

7. https://on.ge/story/53435-%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98

8. https://www.pymnts.com/coronavirus/2020/the-10-ways-covid-19-has-changed-the-american-consumer/

9. https://en.wikipedia.org/wiki/COVID-19_pandemic_in_the_United_States

10. https://www.brookings.edu/research/ten-facts-about-covid-19-and-the-u-s-economy/

11. https://voxeu.org/article/triple-effect-covid-19-chinese-exports

12. https://www.japantimes.co.jp/news/2021/01/15/business/economy-business/china-economy-beating-world/

13. https://bm.ge/ka/article/saqartvelo-da-samezoblo-sad-rogor-shemcirda-ekonomika-2020-wlis-i-naxevarshi/63205

14. https://www.gfsis.org/ge/blog/view/1065

15. https://www.geostat.ge/ka

16. https://www.mof.ge/images/File/2020-publikaciebi/kvartaluri/Outlook%202020Q1_GEO.pdf?fbclid=IwAR2X0bzG1wnh38G4JYiTWo536eeRe5VJoOb5Ubu7jERDDx-XUqRkn0zQ6D8

17. https://stopcov.ge/

18. https://stopcov.ge/ka/Gegma

19. ლადო პაპავა _ „რა არის ეკონომიკა“ PDF

20. გრეგორი მენქიუ-ეკონომიკის პრინციპები PDF